

ზურაბ ბრაგვაძე

მეფობის საკითხი კლასიკური ხანის კოლხეთში და არქეოლოგია

თუ რამე უცნაური და კითხვის ნიშნების აღმძვრელია ძველი საქართველოს ისტორიაში, ეს უდაოდ არის კოლხეთის მეფეების ვინაობის საკითხი. არა-და, ერთი შეხედვით, ეს პრობლემა არც უნდა არსებულიყო, რადგან კოლხი მეფეების შესახებ ცნობებს გვაწვდიან როგორც ანტიკური (ქსენოფონტი, სტრაბონი, პლინიუსი, ტროგუსი), ასევე – ურარტული ლურსმული წყაროები (სარდური II-ის წარწერა). აյ ბუნებრივია, არ ვგულისხმობ აპოლონიოს როდო-სელთან, სტრაბონთან და „არგონავტიკის“ სხვადასხვა ვერსიებში შემორჩენილ ცნობებს აიეტის შესახებ. თუმცა, რამდენად ლეგენდარული შეიძლება შეიძლება იყოს აიეტი, ეს ჯერ კიდევ საკამათო საკითხია, რადგან კლასიკური ხანის კოლხეთში არსებობდა მყარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ამ პიროვნებამ სათავე დაუდო კოლხი მეფეების დინასტიას და ყველა მათგანი საკუთარ თავს მიიჩნევდა მის შთამომავლად.

აღნიშნული რეალობის მიუხედავად, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ (ძირითადად, რუს) ისტორიკოსთა შორის არსებობს მყარი შეხედულება და ღრმა სკეპტიციზმი როგორც კოლხეთში სამეფო ხელისუფლების, ასევე – ზოგადად, კოლხეთის სამეფოს რეალურად არსებობის შესახებ და მკვლევართა გარკვეული ნაწილი მას განიხილავს მხოლოდ მითად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.¹

პრობლემის უკეთ წარმოჩენის მიზნით შევეხები ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებს კოლხეთისა და ამ ქვეყნის მეფეების შე-

¹ ყორანაშვილი, ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი, გვ. 98-135 (ლიტერატურა იქვე). ზოგადად უნდა ითქვას, რომ მითის საისტორიო წყაროდ გამოყენებისას არაერთი პრობლემა იჩენს თავს. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის, რომ მითოლოგიური მასალა სხვადასხვა დროის, უანრისა თუ მიზანდასახულობის ტექსტებშია შემონახული. ამიტომ მკვეთრად გასამიჯნია მითის ძირითადი შინაარსი, რომელიც შეიძლება ძალზე ძველი იყოს და მისი წერილობით გაფორმების დროს დამატებული გარკვეული რეალიები. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მითოლოგიურ ტექსტებზე მუშაობა სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. დაწვრ. იხ.: გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები, გვ. 51-72.

სახებ და არქეოლოგიურ მონაცემებს. ქ. წ. V საუკუნის სარდალი ქსენოფონტი გვამცნობს, რომ ქ. წ. 401 წელს მისი ლაშქრის ნაწილმა ქალაქ კოტიორადან მოინდომა ფასინათა ქვეყანაში გადასვლა, სადაც ამ დროს აიეტის შთამო-მავალი მეფობდა.¹ ქსენოფონტის „ანაპასისი“ უძველესი ანტიკური წყაროა, რომელიც კოლხეთში (რესპ. ფასინათა ქვეყანაში) მეფეს მოიხსენიებს.

პლინიუსის ცნობის თანახმად კი, კოლხეთში მეფობდა აიეტის შთამო-მავალი სავლაკი. ამ მეფის სახელით მოჭრილი მონეტა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე. ო. ლორთქიფანიძის შენიშვნით, მონეტა დაზიანებულია და გარკვევით არ ჩანს სავმაკი იყითხება თუ სავლაკი. გ. კვირკველიას დაკვირვებით, დაზიანებულ მონაკვეთში უნდა ეწეროს გრაფემა λ და არა M, რადგან ასო M-ისთვის საკმარისი ადგილი არ არის და უფრო სარწმუნოა, რომ ეს იყოს λ და შესაბამისად, სავლაკი.²

ამდენად, ქსენოფონტის და პლინიუსის ცნობები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი პირდაპირ აღნიშნავენ კოლხეთში მეფეებისა და შესაბამისად, სამეფო ხელისუფლების არსებობას.³ ამ ცნობებში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – სხვადასხვა დროს მოღვაწე თრი სხვა-დასხვა ავტორის თანახმად კოლხეთის მეფეები იწოდებიან აიეტის შთამომავლებად. ამ გარემოებას პირველად ო. ლორთქიფანიძემ მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ კოლხეთის მეფეების აიეტის შთამომავლებად წარმოჩენა იყო საკუთრივ კოლხეთის სამეფოში შემუშავებული ტრადიცია, რითაც კოლხი მეფეები საგანგებოდ მიანიშნებდნენ მათ ღვთაებრივ წარმომავლობას (ჰელიოსის შვილები).⁴

კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის დასამტკიცებლად ნიშანდობლივია ქ. წ. I-ქ. შ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პომპეიუს ტროგუსის ცნობებიც. ტროგუსის ნაშრომის XXVII წიგნის შესავალში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მასში გადმოცემულია პონტოს მეფეების ისტორია, ხოლო „მისგან გადახვევით“ ბოსფორელთა და კოლხთა მეფეების საქმეები.⁵ ო. ლორთქიფანიძის სამართლიანი შენიშვნით, კოლხეთის მეფეები იმდენად ცნობილები დაძლიერები იყვნენ, რომ ტროგუსმა აუცილებლად მიიჩნია მათ-თვის ცალკე ადგილი დაეთმო ბოსფორისა და პონტოს მეფეების გვერდით.⁶ მიუხედავად იმისა, რომ ტროგუსის ნაშრომი კოლხი მეფეების შესახებ ჩვე-ნამდე მოღწეული არ არის, და შესაბამისად, არც ერთი კოლხი მეფის სახელი

¹ Anab., V, 6, 37.

² ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 47.

³ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 48.

⁴ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 48.

⁵ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 52.

⁶ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 53.

ამ წყაროდან არ ვიცით, მას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობასთან დაკავშირებით.

ის რეალობა, რომ კოლხი მეფები თავს მიიჩნევდნენ აიეტის შთამო-მავლებად, მიანიშნებს ძველ კოლხეთში ხელისუფლების მემკვიდრეობითობის ხასიათზე. ეს ფაქტი კარგად გამოჩნდა ვანის და განსაკუთრებით, საირხის მდიდრული სამარხების შესწავლის მაგალითზე, სადაც საქმე გვაქვს სახელი-სუფლებო შტოს უწყვეტობასა და მემკვიდრეობით გადაცემაზე ქ. წ. V-IV საუკუნეებში.¹ აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ არქოლოგიურად დასტურდება სკეპტურთა შტოს მემკვიდრეობითი ხასიათი, რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ უარვყოთ იგივე მომენტი სამეფო დინასტიასთან დაკავშირებით?

იმიტომ ხომ არ მიიჩნევდნენ თავს კოლხეთის მეფები ლეგენდარული აიეტის შთამომავლებად, რომ სახელი აიეტი კოლხეთს ნიშნავს? ან რატომ მოიხსენიებდნენ ძველი ბერძნები ამ ქვეყანას ორი სახელით (აია-კოლხიდა)? იმიტომ ხომ არა, რომ კოლხიდა ბერძნული სახელია, ხოლო აია ადგილობრივი ეთნონიმია და, შესაბამისად, კოლხეთის პირველ და ლეგენდარულ მეფეს ამავე ქვეყნის სახელი ერქვა. აიეტი, რომელიც ჰელიოსის შვილი იყო და ოთარ ლორთქიფანიდის სამართლიანი შენიშვნით, დანარჩენი კოლხი მეფები მიიჩნევდნენ რა თავს აიეტის შთამომავლებად, ამით აღნიშნავდნენ საკუთარი დინასტიის ლვთაებრივ წარმომავლობას, ხოლო ლვთაებრივი წარმომავლობის დასაბუთება ნიშანდობლივია ყველა სამეფო დინასტიისთვის.² ამასთან, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ კოლხი მეფები მართლაც აიეტის პირდაპირი შთამომავლები, მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები იყვნენ, რადგან ამ შემთხვევაში ხაზგასმულია მათი ლვთაებრივი წარმომავლობა და არა პირდაპირი ჩამომავლობა.³ ბერძნულ საკუთარ სახელთა წარმოების კანონების თანახმად, აიეტი ნიშნავს აიას მკვიდრს,⁴ ე. ი. აიეტი ნიშნავს აიელს, იგივე კოლხს. ანუ აიეტი კოლხეთის მითიური ეთნარქია და ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც ლეონტი მროველისეულ ქართლოსთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომ მიიჩნევდა კოლხეთის ყველა მეფე საკუთარ თავს აიეტის შთამომავლად. ისეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ანტიკური ხანის იბერიის მეფები „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ლეონტი მროველთან,

¹ ბრაგვაძე, საირხის სკეპტურია, გვ. 114.

² ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 54.

³ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 53-54.

⁴ ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გვ. 32.

მოხსენიებიან ქართველთა მითიური ეთნარქის ქართლოსის შთამომავლებად და ქართლოსიან მეფეებად.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარკვევის საქმეში ხელშესახებ მასალას იძლევა ვანში მოპოვებული ქ. წ. IV-III საუკუნეების ადგილობრივი კრამიტი, რომლებზეც გვხდება დამღ „ბასილიკე“.¹ როგორც ო. ლორთქი-ფანიძე მიიჩნევს, ასეთი კრამიტის აღმოჩენა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ქსენოფონტის, სტრაბონის, ტროგუსისა და პლინიუსის ცნობებს კოლხეთში სამეფო ხელისუფლების, „აიეტიდების დინასტიის“ არსებობის შესახებ.² თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა გამოითქვას რამდენამდე განსხვავებული ვარაუდი და ვანის „სამეფო კრამიტებზე“ მოხსენიებული პიროვნება (Mélaabhič) მივიჩნიოთ არა მეფედ, არამედ – სკეპტუხად და თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საირხისა და ვანის აღმოჩენების წყალობით კოლხეთის სამეფოს რამდენიმე სკეპტუზის ვინაობაცაა ცნობილი (Δέδατως და მელაბჟიც ვანიდან და თაუχ საირხიდან). თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, საირხის წარნერის თაუχ-თან დაკავშირებით შეიძლება საქმე გვქონდეს ირანული წარმოშობის ქალის საკუთარ სახელთან,³ რომელიც გვევლინება როგორც სკეპტუხთა შტოს ყველაზე ადრეული წარმომადგენელი, არა მხოლოდ საირხეში, არამედ ზოგადად, კოლხეთში.⁴

როდესაც კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობისა და ზოგადად, კოლხეთის მეფეების შესახებ ვმსჯელობთ, აუცილებელია იმ არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინება, რაც დღეის მდგომარეობით გვაქვს დასავლეთ საქართველოში და, აქედან გამომდინარე, კლასიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების მონაცემების დაკავშირება კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებთან. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ვანის, საირხის, ითხვისის, მთისძირის და დაბლაგომის სამარხთა იდენტიფიკაცია და მათი კავშირი ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ კოლხეთის მეფეებთან.

ქსენოფონტესთან მოხსენიებული კოლხი მეფის თანადროული უნდა იყოს ვანის და საირხის ის სამარხები, რომლებიც ქ. წ. V საუკუნის ბოლო ფაზას და ქ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. სავსებით შესაძლებელია, რომ ქსენოფონტის „ანაბასისში“ ქ. წ. 401 წელს მოხსენიებულ კოლხ მეფეს ეხელისუფლება ქ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარშიც.

კოლხეთის სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვანისა და საირხის მდიდრული სამარხების პარალელურად ამ სკეპტუხიების

¹ ახვლედიანი, კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, გვ. 4-10.

² ლორთქიფანიძე, იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 53.

³ ყაუხჩიშვილი, საირხის ბერძნული გრაფიტო, გვ. 15-17.

⁴ ბრაგვაძე, საირხის სკეპტუხია, გვ. 113.

ფარგლებში აღმოჩენილი დაბლაგომის, მთისძირისა და ითხვისის მდიდრული სამარხებიც, რაც უდაოდ ადასტურებს იმ რეალობას, რომ სოციალური დიფერენციაციის პროცესი კოლხეთში ღრმადაა წასული და არათუ ზოგადად კოლხეთის სამეფოს, არამედ საკუთრივ სკეპტურიების შიგნითაც საქმე გვაქვს რთულ სოციალურ-პოლიტიკურ იერარქიასთან. ეს მოსაზრება ჯერ კიდევ 1992 წელს გამოვთქვი და მის თაობაზე დღემდე აზრი არ შემიცვლია.¹

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ვანის და საირხის მდიდრული სამარხების ანალიზს შეხებია, აღნიშნავს, რომ ხსენებულ კომპლექსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლასიკური ხანის კოლხეთში სახელმწიფო-ებრიობის დადასტურების თვალსაზრისით. ამ მხრივ თავის დროზე უდიდესი შრომა გასწია დიდმა არქეოლოგმა, აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ, რომელმაც წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე არგუმენტირებულად დაასაბუთა როგორც კლასიკური ხანის კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობა, ასევე – ამ ქვეყნის როლი და მნიშვნელობა ზოგადად ანტიკური სამყაროსათვის.²

ქართლის ცხოვრებისეული ქუჯის შემდეგ კოლხეთის სამეფო ემცრობა, მაგრამ არსებობას კვლავ აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კოლხეთი კარგავს აღმოსავლეთ პროვინციებს,³ ის მაინც ცალკე პოლიტიკური ერთეული ჩანს. ამ ფაქტის კარგი დასტური სავლაკის მონეტაა. ქუჯის თანადროული უნდა იყოს ვანისა⁴ და საირხისა⁵ ყველაზე გვიანდელი მდიდრული სამარხები. ხოლო ის რეალობა, თუ რატომ აღარ გვხვდება ქ. ნ. IV-III საუკუნეების მიჯნის შემდეგ მდიდრული სამარხები კოლხეთში, ცხადია, არ უკავშირდება კოლხეთის სამეფოს გაქრობას. ამ პრობლემას ვუკავშირებ აქემენიდების იმპერიის დაცემას, რის შემდეგაც პოლიტიკური ვითარება კოლხეთში გარკვეულწილად უნდა შეცვლილიყო.⁶

არქეოლოგიური აღმოჩენებით დგინდება, რომ ქ. ნ. V-IV საუკუნეები კოლხეთის სამეფოსთვის გამორჩეული აღმავლობის პერიოდია. ქსენოფონტის

¹ ბრაგვაძე, აღმოსავლეთ კოლხეთი ქ. ნ. V-I საუკუნეებში, გვ. 18.

² ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, გვ. 153-183 (ლიტერატურა იქვე).

³ ბრაგვაძე, ლეონტი მროველი და ელინისტური ხანის კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები, გვ. 116.

⁴ Kacharava, Kvirkvelia, Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani, გვ. 68.

⁵ ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 74.

⁶ ბრაგვაძე, კოლხეთის სამეფო და ირანი ძ. ნ. V-IV საუკუნეებში, გვ. 43.

მიერ მოხსენიებული კოლხი მეფის, მისი წინამორბედის და მისი შთამომავლის ეპოქას მიეკუთვნება ისეთი ეტალონური ძეგლები, როგორებიც არის ვანი,¹ საირხე,² ფიჭვნარი,³ მთისძირი,⁴ დაბლაგომი,⁵ ითხვისი,⁶ აჩანდარა.⁷

ჩვენს განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ისიც შესაძლებელია, რომ ვანის, საირხის, ითხვისის, მთისძირის თუ დაბლაგომის მდიდრული სამარხეული კომპლექსები კონკრეტულად დაუკავშირდეს ქსენოფონტის მიერ მოხსენიებულ მეფეს, ქუჯის თუ სავლაკის მოღვაწეობის ხანას. ამ მხრივ საკმაოდ შრომატევადი და სასარგებლო საქმე ჩაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა გუნდმა და უზუსტესი ქრონოლოგით დაალაგა ქ. ნ. V-I საუკუნეების დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა არქეოლოგიური ძეგლი თუ ცალკეული კომპლექსი,⁸ ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ, რადგან დაინტერესებულ მკითხველს საკუთრივ შეუძლია მათი ნახვა, შედარება, იდენტიფიკაცია და დასკვნების გამოტანა.

ამდენად, ანტიკური ავტორების წერილობითი ცნობები და დასავლეთ საქართველოს თანადროული არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ კოლხეთში არათუ სამეფო ხელისუფლების, არამედ – საკმაოდ რთული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური იერარქიის არსებობას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კოლხეთის სახელმწიფოებრიობის არსებობის უტყუარ და ნათელ გამოვლინებას.

¹ ლორთქითანიძე, ვანი „ოქრომრავალი კოლხეთის“ რელიგიური ცენტრი, გვ. 3-401.

² ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, გვ. 3-253.

³ კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 3-152.

⁴ გამყრელიძე, მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 58-70.

⁵ თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, გვ. 68-78.

⁶ გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე, ითხვისის სამაროვნის ქრონოლოგია, გვ. 49-55.

⁷ <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180514/1023944791/achandarskij-klad-peredan-v-gosmuzej-abxazii.html>

⁸ ახვლედიანი (და სხვა), მასალები ძვ. ნ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები სამაროვნები), გვ. 5-83.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ახვლედიანი (და სხვა), მასალები ძვ. წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები) – ახვლედიანი დ., ელაშვილი მ., კირკიტაძე გ., ხარაბაძე ს., ასათიანი გ., მასალები ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები), თბილისი, 2017.

ახვლედიანი, კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან – ახვლედიანი დ., კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, თბილისი, 1999.

ბრაგვაძე, საირხის სკეპტურია – ბრაგვაძე ზ., საირხის სკეპტურია, „კავკასიის არქეოლოგიის საკითხები“, თბილისი, 2021, გვ.107-117.

ბრაგვაძე, კოლხეთის სამეფო და ორანი ძვ. წ. V-IV საუკუნეებში – ბრაგვაძე ზ., კოლხეთის სამეფო და ორანი ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, „იბერია-კოლხეთი“, 11, 2015, გვ. 37-48.

ბრაგვაძე, ლეონტი მროველი და ელინისტური ხანის კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები – ბრაგვაძე ზ., ლეონტი მროველი და ელინისტური ხანის კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, თბილისი, 1993, 2, გვ. 109-118.

ბრაგვაძე, აღმოსავლეთ კოლხეთი ძვ. წ. V-I საუკუნეებში – ბრაგვაძე ზ., აღმოსავლეთ კოლხეთი ძვ. წ. V-I საუკუნეებში, თბილისი, 1993.

გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე, ითხვისის სამაროვნის ქრონოლოგია – გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ., ითხვისის სამაროვნის ქრონოლოგია, „არქეოლოგიური ჟურნალი“, V, 2010, გვ. 49-55.

გამყრელიძე, მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები – გამყრელიძე გ., მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, „ვანი III“, თბილისი, 1977, გვ. 58-70.

გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები – გორდეზიანი ლ., ძველი ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2009.

თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან – თოლორდავა ვ., მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, „ვანი II“, თბილისი, 1976, გვ. 68-78.

კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები – კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971.

ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან – ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.

ლორთქიფანიძე, იყოთუ არა სახელმწიფო კოლხეთი? – ლორთქიფანიძე ო., იყოთუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, თბილისი, 2001, გვ. 31-97.

ლორთქიფანიძე, ვანი „ოქრომრავალი კოლხეთის“ რელიგიური ცენტრი – ლორთქიფანიძე ო., ვანი „ოქრომრავალი კოლხეთის“ რელიგიური ცენტრი, მაინცი, 1996.

ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი – ლორთქიფანიძე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986.

ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი – ნადირაძე ჯ., საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი, 1990.

ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თბილისი, 2001.

ყაუხჩიშვილი, საირხის ბერძნული გრაფიტო – ყაუხჩიშვილი თ., საირხის ბერძნული გრაფიტო, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VII, 1993, გვ.15-17.

ყორანაშვილი, ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი – ყორანაშვილი გ., ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი, „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, თბილისი, 2001, გვ. 98-135.

Kacharava, Kvirkvelia, Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani – Kacharava D., Kvirkvelia G., *Wine, Worship, and Sacrifice: The Golden Graves of Ancient Vani*, New-York, 2008.

Zurab Bragvadze

The Issue of Kingship in Colchis of Classical Period and Archaeology

Summary

If there is anything strange and questionable in the history of Georgia, it is undoubtedly the question of the identity of the kings of Colchis. At first glance, this problem should not have existed either, as information about the Colchian kings provides us with both ancient (Xenophon, Strabo, Pliny, Trogus) as well as Urartian cuneiform sources (inscription of Sarduri II). Naturally, I do not mean the references to the legendary Aeetes with Apollonius of Rhodes, Strabo, and various versions of the Argonauts. However, how legendary Aeetes maybe is still a matter of controversy, as in classical Colchis there was a strong notion that this person originated in the dynasty of the Colchian kings and all of them considered themselves his descendants.

The references of Xenophon and Pliny are important because they directly mention the existence of kings and, consequently, royal authority in Colchis. This information draws attention to another important detail – according to two different au-

thors working at different times, the kings of Colchis are called the descendants of Aeetes. O. Lortkipanidze first paid attention to this circumstance and noted that by the descendants of the Aeetes, by the kings of Colchis were a tradition developed, whereby the kings of Colchis specifically indicated their divine origin (sons of Helios). In order to prove the existence of the royal government in Colchis, references of ancient Roman historian Trogus are examined. In the introduction to Book XXVII of Trogus, it is specially mentioned that it tells the story of the kings of Pontus, and “from it” the deeds of the kings of the Bosporan kingdom and Colchis.

Based on the archaeological data at our disposal, it is also possible that the luxurious burial complexes of Vani, Sairkhe, Itkhvisi, Mtisdziri or Dablagomi are specifically related to the reign of the king mentioned by Xenophon, the era of Kuji or Savlak. The Colchian king mentioned by Xenophon, the epoch of the king, his predecessor and his descendants include such reference monuments as Vani, Sairkhe, Pichvnari, Mtisdziri, Dablagomi, Itkhvisi, Achandara.